კონსტიტუციური(სახელმწიფო მოწყობის) სამართალი.

კითხვებზე იმუშავა მარიამ ნუცუბიძემ.

მეორე შუალედური გამოცდა.

- ➔ მაქსიმალური ქულა- 15;
- ➔ გამოცდის ხანგრძლივობა- 120 წთ;
- ➔ დახურული კითხვები - 10;
- ➔ თემა - 1 ხუთქულიანი.

- ➢ გთავაზობთ წინა წლებში კონსტიტუციურ სამართალში მეორე შუალედურ გამოცდაზე მოსულ კითხვებსა და თემას;

- ➢ კითხვები მეორე შუალედურ გამოცდაზე მოვა ტესტური,დახურული ფორმატით.მოცემულ დოკუმენტში მსგავსი ფორმატი არ არის დაცული,რადგანაც ვიხელმძღვანელე იმ ინფორმაციით,რაც წინა წლის გამოცდიდან გამოიტანეს სტუდენტებმა,შესაბამისად,ალტერნატიური ვარიანტები პასუხებისა არ ვიცი და გთავაზობთ მხოლოდ კითხვასა და ჩემ მიერ გაცემულ პასუხებს.!

- ➢ პასუხებში მითითებულია მუხლები საქართველოს კონსტიტუციიდან.

<u>ტესტური დავალებები:</u>

1) **რომელი სუბიექტის მიერ ინიცირებულ კანონპროექტს განიხილავს საქართველოს პარლამეტი რიგგარეშე?**

- აქ სწორი პასუხია მთავრობა,თუმცა ჩამონათვალში არ იყო,ასე რომ უნდა შემოგვეხაზა - "ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი".

2) კონსტრასიგნაციის დროს ვის ეკისრება პასუხისმგებლობა?

- აქაც მთავრობაა სწორი პასუხი,მაგრამ არ იყო ჩამონათვალში მითითებული,ამიტომ უნდა შემოგვეხაგა - "ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი".

3) როგორ ნიშნავს და ანთავისუფლებს ელჩებს საქართველოს პრეზიდენტი?

- მთავრობის წარდგინებით.(მუხლი 73,პუნქტი1,ქვეპუნქტი ა.)

4) რა შემთხვევაში აჩერებს პარლამენტი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების რატიფიცირებას?

- საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების შეტანის შემთხვევაში დაუშვებელია შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებისა თუ შეთანხმების რატიფიცირება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. (მუხლი 65,პუნქტი 4).

5) როდის შედის ძალაში კანონი?

- კანონი ძალაში შედის მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს,თუ სხვა ვადა არ არის დადგენილი. (საქართველოს კონსტიტუცია,მუხლი 68,პუნქტი 6) .

6) იმპიჩმენტის წესით თანამდებობისან გადაყენების შესახებ საკითხის აღძვრის შემდეგ ვის გადაეცემა დასკვნისთვის?

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.(მუხლი 63,პუნქტი 1).

7) საქართველოს პრეზიდენტს (ერთი კითხვა ეხებოდა **72-ე მუხლით განსაზღვრულ შეუთავსებლობას**,და სწორი ვარიანტში მოცემული იყო თავად ეს მუხლი).

- საქართველოს პრეზიდენტს უფლება არა აქვს,ეკავოს სხვა თანამდებობა,მათ შორის,პარტიული,ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას,იღებდეს ხელფასს ან სხვაგვარ მუდმივ ანაზღაურებას რაიმე სხვა საქმიანობისათვის.(მუხლი 72)

8) საქართველოს პრეზიდენტის რამდენიმე ფუნქცია იყო ჩამოთვლილი,თუმცა არც ერთი პასუხი იყო სწორი.**ამ კითხვისათვის ყურადღება მიაქციეთ საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლს.**

9) საქართველოს პრეზიდენტი:

- **საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში.**(მუხლი 69,პუნქტი 3)(სწორი პასუხი იყო სწორედ ეს ვარიანტი).

10) პრეზიდენტის რომელი ქმედება საჭიროებს კონტრასიგნაციას 73-ე პრიმა მუხლის მიხედვით? (ამ მუხლში ჩამოთვლილია ის სამართლებრივი აქტები პრეზიდენტისა,რომლებიც არ საჭიროებს კონტრასიგნაციას.) პასუხებში მითითებული ვარიანტებიდანაც არც ერთი საჭიროებდა კონტრასიგნაციას,შესაბამისად სწორი პასუხი იყო:

- ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

5 ქულიანი თემები.

1) საკანონმდებლო პროცესის სტადიები საქართველოს პარლამენტში;
2) პრეზიდენტის უფლებამოსილებები;
3) საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტები;
4) თანამდებობის პირთა იმპიჩმენტის წესით გადაყენება;
5) საქართველოს პარლამენტის სტრუქტურა;
6) საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსი.